პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 ოქტომბერი პარასკევი 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 238 (15148)

ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი

საბჭოთა საქართველოს მიწა-წყალზე მეოთხე დღეა გრძელდება დიდი ქართველი კომპოზიტორის საიუბილეო დღესასწაული

ხელმძღვანელის ავტორიტეტი

PRAVDA

14 ოქტომბრის მოწინავე

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს კადრები, რომლებიც პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო, კულტურულ-აღმზრდელობითი და საზოგადოებრივი მუშაობის სხვადასხვა უბნებს მეთაურობენ, ღირსეულად ამართლებენ ნდობას, პატიოსნად და თავდადებით ემსახურებიან ხალხს. პარტიამ აღზარდა და დააწინაურა ეს ხელმძღვანელები თვით მასებიდან. ხაკმარისია ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის უდიდეს სამრეწველო საწარმოთა დირექტორების ნახევარზე მეტი წარსულში მუშა იყო, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების ახლანდელი მდივნების, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების 80 პროცენტზე მეტი მუშა და გლეხი იყო, როცა მოღვაწეობას იწყებდა. მმართველობის ყველა რგოლში ახლა, როგორც წესი, მუშაობენ მაღალი ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებისა და კვალიფიკაციის ადამიანები.

სკკპ XXIV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა ხელმძღვანელი კადრების დიდი როლი და პასუხისმგებლობა. როგორც აღნიშნულია ყრილობის გადაწყვეტილებებში, პარტიისა და ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ ხელმძღვანელები სრულყოფილად იყონ დაუფლებულნი მართვის თანამედროვე მეთოდებს, ჰქონდეთ ახლის გრძნობა, ხედავდნენ განვითარების პერსპექტივას, შეეძლოთ უფრო ეფექტიანი გზების გამოძებნა წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტისას, იცოდნენ სხვების ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება. ამ მოთხოვნების განუხრელად შესრულება, პარტიის ხაზის, პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების მტკიცედ და თანმიმდევრულად განხორციელების უნარი განსაზღვრავენ ჩვენი კადრების ყოველდღიური საქმიანობის სტილს, რაზეც გადამწყვეტად არის დამოკიდებული მათი ავტორიტეტი და მასებზე გავლენა.

სამართლიანად ამბობენ, რომ ადგილი როდი ამშვენებს ადამიანს. ავტორიტეტს თანამდებობა და წოდება როდი გვიქმნის, იგი თავისთავად როდი მოდის. ავტორიტეტი უნდა მოვიპოვოთ და შევინარჩუნოთ მთელი ჩვენი შრომითა და საქციელით. მოწინავე პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკების გამოცდილება დამაჯერებლად გვიჩვენებს, რაოდენ დიდი ძალაა შრომისმოყვარეობის, პრინციპულობის, პარტიისა და ხალხის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის პირადი მაგალითი. სწორედ ხელმძღვანელის კარგი მაგალითი ამაღლებს მას უწინარეს ყოვლისა საზოგადოების თვალში. ხალხი მეტად გულთბილად ლაპარაკობს იმ ორგანიზატორებზე, რომლებშიც ხედავს შრომითი ენერგიის მაგალითს, მომთხოვნელობას თავისი თავისა და სხვებისადმი, რომლებიც ყველაზე მაღლა აყენებენ ხალხის, სახელმწიფოს ინტერესებს.

ხალხი ყოველ მუშაკში აფასებს ნამდვილ საქმიანობას. რაც უფრო მჭიდროდ არის შეხამებული ხელმძღვანელის საქმიანობაში სიტყვა და საქმე, მით უფრო მაღალია მისი ავტორიტეტი. და, პირიქით, ფუჭი, ლაზონი განცხადებანი და ვალდებულებანი, რომლებსაც ესოდენ უხვად მიმართავენ ზოგიერთნი, მხოლოდ არეცენ მათდამი ნდობას. მაგალითად, განა შეიძლება ნამდვილი პატივისცემის იმედი ჰქონდეს სამეურნეო მუშაკს, თუ იგი ყოველწლიურად დებს პირობას, რომ უზრუნველყოფს ახალი ტექნიკის დანერგვას წარმოებაში, გაიუმჯობესებს მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს, პრაქტიკულად კი არაფერს არ აკეთებს ამისათვის? განა შეურყეველი დარჩება კოლმეურნეობის თავმჯდომარის რეპუტაცია, თუ იგი ყველა კრებასა და თათბირზე მოითხოვს მეცხოველეობის განვითარებას, საქმით კი არ ზრუნავს პირუტყვის არც საკვებისათვის, არც სადგომისათვის?

ჩვენი საზოგადოების მთელი მორალური ატმოსფერო ხელს უწყობს ურთიერთნდობისა და პატივისცემის განმტკიცებას მასებსა და ხელმძღვანელს შორის, რომელიც უნდა იყოს არა მარტო ორგანიზატორი, ადმინისტრატორი, არამედ აღმზრდელიც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში XXIV ყრილობისადმი ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, ხელმძღვანელს კიდევაც რომ ჰქონდეს ერთმმართველობის უფლებანი, მაინც ვერ დაეურდნობა მხოლოდ ბრძანების ძალას. პარტია განუწყვეტლივ ხაზს უსვამს, რომ საჭიროა სამეურნეო და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანული კავშირი, და მოითხოვს, რომ ხელმძღვანელი მუშაკები მუდამ ფიქრობდნენ მიღებულ ეკონომიურ და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა აღმზრდელობითს შედეგებზე. ეს არის მასებზე ხელმძღვანელის ღრმა სულიერი ზემოქმედების ერთ-ერთი მთავარი პირობა.

როგორც სწორად შენიშნა მაგნიტოგორსკის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ა. ფილატოვმა თავის სტატიაში, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნა „პრავდამ", ხელმძღვანელის მუშაობა მასწავლებლის საქმეს უტოლდება. მდგომარეობის სიმაღლეზე რომ იყოს, იგი მოომინებით და ბეჯითად უნდა ეუფლებოდეს აღზრდის ხელოვნებას, კარგად იცხობდეს ადამიანებს, მათს განწყობილებასა და მოთხოვნილებებს, მუდამ ჰქონდეს ურთიერთობა მათთან. თვითეული მუშაკის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის სისტემატურ გამოსვლებს მშრომელთა წინაშე. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა კემეროვოს ოლქის ხელმძღვანელი კადრების პრაქტიკა, სადაც იდეურ-პოლიტიკურ მუშაობაზე აქტიურად მონაწილეობენ საწარმოთა დირექტორები, საამქროთა, განყოფილებათა და ცვლათა უფროსები.

ხელმძღვანელის ავტორიტეტს, თავისი როლისა და პასუხისმგებლობის სწორად გაგებას საერთო არა აქვს რა ყოყოჩობასთან და ქედმაღლობასთან. საკუთარი პერსონის ყოველგვარ წინწამოწევას, თავის- დამსახურების გაზვიადებას შეუძლია მხოლოდ სასაცილო და სულელური მდგომარეობაში ჩაიყენოს ადამიანი. მაგრამ ვერ უარვყოფთ, რომ ზოგს ავტორიტეტი ესმის როგორც უცდომლობის რაღაც უფლება. ასეთ მუშაკებს ხშირად აკლიათ თავდაჭერილობა და ტაქტი ადამიანებთან ურთიერთობაში, არ ძალუძთ უურად იღონ კრიტიკული შენიშვნები და სწორად გამოეხმაურონ კრიტიკას. პარტიული ორგანიზაციები გულგრილად ვერ მოეკიდებიან ყოყოჩობისა და ამპარტავნობის ამ გამოვლინებებს, რომლებსაც ხშირად თან სდევს პარტიული ეთიკისა და დისციპლინის უხეში დარღვევები. კრიტიკის ჩახშობის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კოლექტივისადმი თავისი თავის დაპირისპირების სწორედ ასეთ გზას დაადგა პსკოვის სახლთსამშენებლო კომბინატის ყოფილი უფროსი გ. დ. მენტიუკოვი, რომლის შეცდომები დიდხანს რჩებოდა დაუსჯელი მისი უშიალო ხელმძღვანელების წაყრუების შედეგად. კადრების აღზრდის საქმეს დიდ ზიანს აყენებს ის, რომ ცალკეული მუშაკები უპრინციპოდ, შემრიგებლურად ეკიდებიან ჩვენი მორალური ნორმების დარღვევებს.

ხელმძღვანელთა დამსახურებული ავტორიტეტის დაცვასთან და განმტკიცებასთან ერთად პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ჩაუნერგონ და განუვითარონ მათ ისეთი თვისებები, როგორიც არის თავმდაბლობა და გულისხმიერება, მისაწვდომობა და უბრალოება, პატიოსნება და გულმართლობა. გადაჭრით უნდა ვილაშქრებდეთ ბიუროკრატიზმის და ჩვენთვის უცხო სხვა ზნე-ჩვეულებების უმცირეს გამოვლინებათა წინააღმდეგ.

სულიერი სახის სიწმინდე და კეთილშობილება, იდეური სიმწიფე ხელმძღვანელურ მდგომარეობაში ჩაყენებულ ადამიანს, მასებთან ურღვევი კავშირი — აი რა არის საბჭოთა ხელმძღვანელის ძალა. მისი ავტორიტეტის საფუძველი. პარტია დაუცხრომელად ზრუნავს ჩვენი კადრების როლისა და გაძლიერებისათვის, მათი აღზრდისათვის. პარტიის მორალური ავტორიტეტის ზრდასთან ერთად იზრდება ხელმძღვანელი კადრების — კომუნისტური მშენებლობის ამ მძლავრი მოძრაგანიზებელი ძალის ავტორიტეტიც.

თბილისი. 1971 წლის 14 ოქტომბერი. საზეიმო საიუბილეო სხდომა მიძღვნილი ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი.

ფოტო ელ. გინზბურგისა.

ფალიაშვილი უკვდავია

საზეიმო საიუბილეო სხდომა

მესამე დღეა საქართველო, მოსკოვის, მომე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის მუსიკალური საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები საზეიმო ვითარებაში, დიდი სიყვარულითა და მადლიერებით აღნიშნავენ ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, დიდი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავს.

საიუბილეო ღონისძიებათა ცენტრალური მოკლენა იყო საზეიმო სხდომა, რომელიც 14 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

საღამოსასწაულოდ არის მორთული საკონცერტო დარბაზი. სცენას ამშვენიან ყვავილებით მორთული ზ. ფალიაშვილის უზარმაზარი პორტრეტი.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები მ. გოგიჩაიშვილი, შ. კიკნაძე, ო. ლოლაშვილი, ნ. ცხაკაია, გ. ძოწენიძე, შ. ჭანუყვაძე, გ. ჯავახიშვილი, რ. შეტრეული, თ. მოსაშვილი, ჯ. პატარაშვილი.

აქვე არიან სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. კუხარსკი, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი ტ. ხრენიკოვი, თვალსაჩინო საბჭოთა და საზღვარგარეთელი კომპოზიტორები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, საქართველოს სსრ მინისტრები, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ჭავახიშვილმა — ზ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავის მომწყობი რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ.

— დღეს, — თქვა მან, — საქართველოში დიდი ხანლხო ზეიმია. მადლიერი ქართველი ხალხი აღნიშნავს დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავს. ქართველ ხალხთან ერთად ჩვენი ეროვნული კულტურის ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ზეიმობს მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხი. ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების შედეგად საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში ერთი მომე ერის ისტორიის შესანიშნავ თარიღს ყველა ხალხი აღიქვამს როგორც თავის ეროვნულ ზეიმს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებული სიფაქიზით ეკიდებიან ერთა კულტურულ მემკვიდრეობას. სათუთად ინახავენ და ამრავლებენ მათი სულიერი შემოქმედების თვალსაჩინო ტრადიციებს. ეს არის საბჭოთა ხალხის ერთიანობის, მისი მონოლითობის დაუშრეტელი წყარო.

ასე იყო საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის საიუბილეო ზეიმის დროს, რომელიც გადაიქცა საბჭოთა ხალხის ერთიანობის, მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად. გააცოცხლა საბჭოთა საქართველოს შესანიშნავი ნახევარსაუკუნოვანი მატიანე და სულიერად კიდევ უფრო აამაღლა, გაამდიდრა ჩვენი ხალხი.

ასე იყო ქართველი ხალხის დიდი შვილებად — გენიალური შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ

(დასასრული მე-3 გვ.).

ხუთწლედი — ვადამდე

მევენახეთა ნობათები

სიღნაღი

სიღნაღელმა მევენახეებმა გვალვისა და სხვა სტიქიური მოვლენების მიუხედავად თავდადებული შრომით ახალ სასიხარულო წარმატებებს მიაღწიეს. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 20.303 ტონა ყურძენი, გეგმა კი 20.300 ტონას ითვალისწინებდა.

ყურძნის დამზადების საქმეში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ხირსის, ძველი ანაგის, ტიბაანის და სხვა სოფლების მევენახეებმა. ნაყოფიერად იშრომეს ღვინის ქარხნებისა და ავტოტრანსპორტის მუშაკებმა, რომლებმაც უზრუნველყვეს ყურძნის დროულად გადატანა და გადამუშავება.

ეს სასიამოვნო ცნობა დეპეშით გადმოსცეს „კომუნისტის" რედაქციას პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. ბელაშვილმა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. კრაწაშვილმა.

საგარეჯო

საბარეჯოს რაიონის მევენახეებმა 13 ოქტომბრისათვის წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა. გათვალისწინებული 12.450 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 12.473 ტონა.

რთველი, ყურძნის დამზადება გრძელდება.

ეს სასიხარულო ცნობა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას დეპეშით აცნობეს პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა ო. საბაშვილმა და რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ა. დავითაშვილმა.

საშვიდნოლოგებრლოდ

თბილისი. (საკ. კორ.). სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის (დირექტორი გ. შენგელია, პარტორგანიზაციის მდივანი თ. შუბლაძე) კოლექტივმა კარგად დაიწყო ხუთწლედის პირველი წელი, თვიდან თვემდე ადიდებს პროდუქციის გამოშვებას, აუმჯობესებს ხარისხს. აქ ცხრა თვის სასაქონლო პროდუქციის გამოშვებას 9 პროცენტით გადააჭარბეს, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის დავალებას — 10 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სასაქონლო პროდუქციის გამოშვება 25,6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო რეალიზაციისა — 23 პროცენტით.

კოლექტივმა ოქტომბერში კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობის ტემპი და 10 თვის დავალება 8 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა.

საწარმოოს კოლექტივი ამ წარმატებებს იმით აღწევს, რომ ფართოდ ნერგავს ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიას, სრულყოფს შრომის ორგანიზაციას. ამას წინათ აქ ფართოდ განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, დასახეს კონკრეტული ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებანი და ერთსულოვნად გადაწყვიტეს: მიმდინარე წლის 11 თვეს დაკალება 7 ნოემბრისათვის შესრულონ, ხოლო ხუთწლედი ოთხ წელიწადში.

საწარმოში ფართოდ გამოიხმაურნენ ინიციატივას — ხუთი დღის დაკალება ოთხ დღეში! ამ თაოსნობის მიმდევართა რიცხვი ყოველთვიურად იზრდება. ამჟამად 68 კაცი ამ პირობას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ბათუმი. (საკ. კორ.). რძის ქარხანა ქალაქის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა, იგი ყოველდღე ოცდაოთხ ტონა რძეს, არაყანს, ხაჭოს, ყველს, აგრეთვე ორ ტონა ნაყინს აწვდის ქალაქისა და აჭარის რაიონების სავაჭრო ორგანიზაციებს. საწარმოს კოლექტივმა უკვე გადაჭარბებით გაანაღდა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის 10 თვის გეგმა.

ახალ ხუთწლედში საწარმომ ერთიორად უნდა გაზარდოს პროდუქციის წარმოება, გაფართოვდება ასორტიმენტი. უკვე დაწყებულია ქარხნის რეკონსტრუქცია, შენდება ახალი კორპუსი.

მიფრინავს „კოსმოსების" ჯგუფი

1971 წლის 13 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები „კოსმოს-444", „კოსმოს-445", „კოსმოს-446", „კოსმოს-447", „კოსმოს-448", „კოსმოს-449", „კოსმოს-450", „კოსმოს-451".

ორბიტაზე რვავე თანამგზავრი გაიყვანა ერთმა მატარებელმა რაკეტამ.

თანამგზავრებზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

რვავე თანამგზავრი მოთრარობს გათვალისწინებულთან მიახლოებულ ორბიტებზე, რომელთა საწყისი პარამეტრებია:

— მიმოქცევის პერიოდი — 115 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 1550 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 1415 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 74 გრადუსი.

თანამგზავრებზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო — გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკლესი).

საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ერთობლივი კომუნიკე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1971 წლის 11-13 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარე მუჰამედ ანვარ სადათი. რომელსაც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები და ხალხი გულითადად და გულთბილად შეხვდნენ.

საბჭოთა კავშირში ა. სადათის ყოფნის დროს გაიმართა მისი მოლაპარაკება და საუბრები ლ. ი. ბრეჟნევსა, ნ. ვ. პოდგორნისთან და ა. ნ. კოსიგინთან. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში ვ. მ. ვინოგრადოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე მ. დ. სიტენკო; ეგვიპტის მხრივ — პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, მრეწველობის, ნავთობისა და მინერალური რესურსების მინისტრი ა. ზ. სიდკი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მაჰმუდ რიადი, პრეზიდენტის პირველი ეროვნული უშიშროების საკითხთა კაშიშ ისმაილი, არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პრეზიდენტის მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში აბდელ ხალამ აზ-ზაიათი, სამხედრო მინისტრი გენერალი მუჰამედ აჰმედ სადეკი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი მუჰამედ მურად გალები, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ელჩი იაჰია აბდელ კადერი. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში მოჰამედ ეაშაა კ�აზი.

მოლაპარაკება და საუბრები მიმდინარეობდა სრული ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ვითარებაში, რაც ყოველთვის ახასიათებს საბჭოთა ხელმძღვანელებისა და პრეზიდენტ ანვარ სადათის შეხვედრებს. გულახდილობისა და გულითადობის სულისკვეთებით მხარეებმა განიხილეს პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ, სამხედრო-ტექნიკურ დარგებში ორი ქვეყნის თანამშრომლობის საკითხები, ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის საკითხებზე, აგრეთვე სხვა ურთიერთსაინტერესო აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ წარმატებით ვითარდება ორ, ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობა და მჭიდრო თანამშრომლობა ყველა დარგში, აგრეთვე განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ შემდგომშიც განამტკიცონ და გააფართოონ თავიანთი მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა, რასაც ხელს უწყობს საბჭოთა კავშირსა და

(დასასრული მე-2 გვ.).

15 ოქტომბერს, დილის 11 საათზე აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტები — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალები აწყობენ მეცნიერულ კონფერენციას

სკკპ XXIV ყრილობა და ისტორიულ-პარტიული მეცნიერების ამოცანები.

კონფერენციაზე მოსმენილ იქ.ა მოხსენებანი:

პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში — მომხსენებელი სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ბ. ნ. ფედოსეევი.

სკკპ XXIV ყრილობა და ისტორიულ-პარტიული მეცნიერების აქტუალური პრობლემები დამუშავება — მომხსენებელი სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ი. ბ. პეტროვი.

კონფერენცია ჯაიმართება საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრსპ., 29).

საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ერთობლივი კომუნიკე

(დასასრული).

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის 1971 წლის 27 მაისის ხელშეკრულება, რომელმაც მყარი საფუძველი ჩაუყარა ამ ურთიერთობის განმტკიცებას მომავალში.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ ისწრაფვიან გამოიყენონ არსებული ფართო შესაძლებლობანი, რათა მომავალშიც განავითარონ და განამტკიცონ საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობა, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, რომელსაც საფუძვლად უდევს იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის საერთო მიზნები. მოლაპარაკების დროს მხარეები შეთანხმდნენ, თუ რა ღონისძიებანი უნდა განახორციელონ აღნიშნული მიზნების მისაღწევად.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. სადათმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტის ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობისა და ყველა დარგში საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, რაც მიაწერა იმპერიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ, სოციალური პროგრესის გზით ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პოზიციების განმტკიცების უნნშვნელოვანეს ფაქტორად.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა დაადასტურეს, რომ მათი თვალსაზრისი ემთხვევა ერთმანეთს ახლო აღმოსავლეთის ახლანდელი დაძაბული მდგომარეობის შეფასებაში. მხარეებმა ვფიქრობ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ რეგიონში საშიში მდგომარეობის ძირითადი მიზეზია ისრაელის დამპყრობლური პოლიტიკა, რომელსაც ყოველმხრივ უჭერენ მხარს ამერიკის შეერთებული შტატები.

მხარეებმა განაცხადეს, რომ ისრაელი დემონსტრაციულად უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ბრძანებულებებს, ხალხთა თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ნორმებს. ისრაელი ფლობს ატომურ იარაღს, ეწინააღმდეგება ატომური იარაღის გავრცელებისა და ატომური ომის საფრთხის აღმოფხვრის ეფექტურ ზომებს, ეწინააღმდეგება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, ეწინააღმდეგება ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის ბრძოლას, ეწინააღმდეგება ეროვნული ეკონომიკის ინტენსიურ განვითარებ

ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი

ფალიაშვილი უკვდავია

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა საიუბილეო დღეებში. ახეა დღესაც — თვალსაჩინო მამულიშვილის, დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის იუბილე ჩვენი ქვეყნის ყველა ერის კულტურის საყოველთაო ზეიმია.

სწორედ ამიტომ დღეს აქ ჩვენთან ერთად ზ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავს ზეიმობენ მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული ჩვენი მეგობრები, საბჭოთა ქვეყნის მუსიკალური საზოგადოებრიობის რჩეული წარმომადგენლები — კომპოზიტორები და მუსიკოსები, დირიჟორები და ხელოვნებათმცოდნეები.

ნება მომეცით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რესპუბლიკის მთავრობის სახელით, მთელი ქართველი ხალხის სახელით დიდი მადლობა მოვახსენო მათ.

დღეს აქ არიან ბერეთელ ჩვენი სტუმრები — უცხოეთის ქვეყნების მუსიკალური კულტურის მოღვაწენი — ცნობილი კომპოზიტორები, დირიჟორები, მუსიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, რომლებიც ჩამოვიდნენ საქართველოში, რათა ჩვენთან ერთად პატივი სცენ ზ. ფალიაშვილის ხსოვნას. ნება მიბოძეთ გულითადად მივესალმო მათ და მადლობა გადავუხადო პატივისცემისათვის.

ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის ისტორიის არა ერთი და ორი გამორჩენილი მოღვაწის სახელი ახსოვს, რომელთაც შექმნეს ქართული ეროვნული კულტურის — ლიტერატურის, პოეზიის, მხატვრობის, არქიტექტურის შესანიშნავი შედევრები. ქართული კულტურის ამ გამორჩენილ მესვეურთა შორის თვალსაჩინო ადგილი დაიკავიდა ზ. ფალიაშვილმა. წარუშლელია ის კვალი,რომელიც მან ქართული კულტურის ისტორიაში დატოვა. დიდია ის ღვაწლი, რომელიც მან ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებას დასდო. მისი შესანიშნავი მუსიკალური შემოქმედება ჩვენი დიდი საუნჯეა.

ზაქარია ფალიაშვილი იმ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ჭეშნდათ ბედნიერება ნიცოცხლეშივე მოეპოვებინათ მშობელი ხალხის განსაკუთრებული სიყვარული და აღიარება. ზ. ფალიაშვილის შემოქმედება საქართველოს პროფესიული მუსიკის განვითარების ისტორიაა დღიდან ჩასახვიდან მის მხატვრულ სიმწიფემდე. ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება ქართული ეროვნული მუსიკის მწვერვალია. დიდი ხელოვანი ღრმად და ძალუმად ჩასწვდა ხალხური მუსიკის არსს. ამოიცნო მრავალსაუკუნოვანი ხალხური მუსიკალური კულტურის თავისებურებანი და იგი პროფესიონალ ხელოვნებას, მსოფლიო — რუსული და დასავლეთევროპული კლასიკური მუსიკის მნიშვნელოვან ტრადიციებს აზიარა.

ოთხი ათეული წლის მანძილზე — XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე მოღვაწეობდა ზაქარია ფალიაშვილი. მან, როგორც ბეშმარიტად პროგრესულმა ხელოვანმა, შეითვისა და შეინისეხლორცა რუსეთის მოწინავე საზოგადო მოღვაწეების ცხოველმყოფელი იდეები.

მეტად მრავალფეროვანია ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალური შემოქმედება. მაგრამ ბეშმარიტი აღიარება მან მოიპოვა როგორც შესანიშნავი ქართული ოპერების შემქმნელმა. მართლაც, ფალიაშვილის შემოქმედებასთანაა დაკავშირებული ქართული სამპერის ხელოვნების განვითარება და აყვავება. მისი საშემსრულებლო — ვოკალური თუ სასცენო ხელოვნების ეროვნული სახე და თავისებურებანი უწინარეს ყოვლისა ფალიაშვილის ამ ქმნილებათა საფუძველზე აღმოცენდა და განვითარდა. მის ოპერებთან ღრმად არის დაკავშირებული ქართული საოპერო ხელოვნების ოსტატთა მრავალი თაობა. და ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება.

ზ. ფალიაშვილის მუსიკა, მისი ოპერები, განსაკუთრებით „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ უალრესად ეროვნულია. მაგრამ ამავე დროს შორს არის ეროვნული ქარჩაკეტილობისაგან. ზ. ფალიაშვილის მუსიკალურ მემკვიდრეობას საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვს, მას შესწევს ძალა მოხიბლოს ყველა ეროვნების მსმენელი. სწორედ ეს გახლავთ ზაქარია ფალიაშვილის სიდიადე, მისი ხელოვნების ძეგლი.

ზაქარია ფალიაშვილმა დაამკვიდრა ეროვნული კლასიკური მუსიკალური ხელოვნება, თვითონვე გახდა ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. იგი იყო მუსიკოსთა იმ ახალი თაობის გულისხმიერი აღმზრდელი, რომელიც მასთან ერთად საბჭოთა საქართველოში საძირკველს უყრიდა ახალი დროის სოციალისტურ ხელოვნებას, ეწეოდა და დღესაც ეწევა ქართული საბჭოთა მუსიკის ჯაპანს.

ზ. ფალიაშვილის ტრადიციები ცოტად თუ ბევრად, ამა თუ იმ სახით მუდამ იგრძნობა საშუალო და ახალგაზრდა თაობის, ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებაში, რომელთაც ღირსეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა მუსიკის საგანძურში.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა დიდი ქართველი კომპოზიტორის მოღვაწეობა, მისი მუსიკალური მემკვიდრეობა, რომელიც დიდი ხანია ქართული ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა. აი თუნდაც სულ მოკლე ხანში, იუბილესათვის მზადების პერიოდში, გამოიცა ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები, მისი რჩეული მუსიკალური ნაწარმოებების კრებულები. „დაისის“ კლავიერი, „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურა, მისი უკვდავი მუსიკა ჩაწერილია გრამფირფიტებზე და სხვ.

დღეს მადლიერი ქართველი ხალხი განახლებულ ქართულ მიწაზე ხარკს უხდის თავის გამოჩენილ მამულიშვილს და დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავს მის იუბილეს. ზაქარია ფალიაშვილის მონუმენტური ძეგლი დაიდგა იქ, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კომპოზიტორი — თბილისში, მისი სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის კედლებთან, ქუთაისსა და ბორჯომში. საიუბილეო ზეიმი სულ რამდენიმე დღის შემდეგ გადაინაცვლებს მოსკოვში, სადაც დედაქალაქის საზოგადოებრიობა პატივს სცემს ფალიაშვილის ხსოვნას, მისი უკვდავი ოპერები აფიშირდება სსრ კავშირის აკადემიური დიდი თეატრის სცენაზე.

ქართული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლისა და დიდი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გახსნილად ცხადდება.

საზეიმო სხდომაზე ზ. ფალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გაიკეთა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა.

მომხსენებელმა დაწვრილებით გააშუქა კომპოზიტორის შემოქმედებითი გზა, დაწვრილებით ილაპარაკა ზ. ფალიაშვილის შემოქმედების დიდ მნიშვნელობაზე ქართველი ხალხის ცხოვრებაში, მის საყოველთაო სახალხო აღიარებაზე.

ზ. ფალიაშვილის უკვდავმა მუსიკამ, — თქვა მან, — ღრმად გაიდგა ფესვები ხალხში და მისი სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ოპერებმა „აბესალომ და ეთერმა“ და „დაისმა“ ბევრი აღფრთოვანებული გამოხმაურება გამოიწვია. ჯერ კიდევ 1937 წელს მოსკოვში გამართულმა ქართული ხელოვნების დეკადამ ფალიაშვილის სახელი კლასიკოსთა შორის დაამკვიდრა, რაზედაც ცენტრალური პრესის ფურცლებზე მთელგონებით წერდნენ ჩვენი ქვეყნის მრავალეროვნული ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი.

დღევანდელმა იუბილემ დარბაზში შეკრიბა მსოფლიოს მრავალი მუსიკოსი. ეს მოწმობს, რომ განვლილმა პერიოდმა ცხადყო ზ. ფალიაშვილის შემოქმედების დიდი რეალური ეროვნული მუსიკალური კულტურის დამკვიდრების ახალ მოძრაობაში.

ფალიაშვილის მუსიკა საბჭოთა ხალხის სიმაყეა. ხალხის სულიერი აღორძინების, მისი ეროვნული თვითშეგნების ზრდის მძლავრმა ძალამ ზაქარია ფალიაშვილი მსოფლიო ხელოვნების მწვერვალებზე აიტაცა.

ზ. ფალიაშვილი, ისევე როგორც ყველა დიდი ხელოვანი, თანამედროვეობის პრობლემების მხატვრული განსახიერებისათვის გაბედულად გარდაქმნდა ტრადიციულ მემკვიდრეობას.

ზაქარია ფალიაშვილს უწოდებენ ქართული სამპერო კლასიკის ფუძემდებელს, მაგრამ მან თავისი სამპერო შემოქმედებით დასაბამი მისცა ქართული მუსიკის სხვა ჟანრების განვითარებასაც.

„დაისის“ უვერტიურა დღესაც რჩება ქართული სიმფონიური მუსიკის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშად. ეს მომაჯადოებელი ქმნილება შეიძლება მთელი ქართული სიმფონიური მუსიკის უვერტიურად მიეჩნიოთ. ქართული სიმფონიური მუსიკა კი დღეს მრავალ სიმფონიურ სიმფონიას, ინსტრუმენტულ კონცერტებსა და სხვა ფორმის ნაწარმოებებს შეიცავს.

გარკვეული მნიშვნელობა აქვს „აბესალომისა“ და „დაისის“ საცეკვო მუსიკას. ამ მშვენიერი მინიატურების ანკარა წყარომ, მიუხედავად მცირე მოცულობისა, ქართული სიმფონიური ხელოვნების კალაპოტი გაკვეთა. მეოცე საუკუნეს მრავალი ნიჭიერი კომპოზიტორი ამშვენებს, მაგრამ მათ შორის ბევრმა როდი შეძლო კონკრეტული, ხალხისათვის დასახსოვრებელი და საყვარელი პერსონაჟების შეექმნა. აბესალომის, მალხაზის, ეთერის სახეები ხალხის იდეალისა და მომბიჯნეობის მაგალითად იქცა. ეს გარემოება, ესოდენ ხშირი ლიტერატურაში, ფრიად იშვიათია მუსიკალურ მემკვიდრეობაში. ასეთი სახეების შექმნით ფალიაშვილმა თავისი შემოქმედება ქრესტომათიულ სიმაღლეზე აიყვანა. ფალიაშვილის მუსიკა, ქართულ ხალხურ მუსიკალურ მემკვიდრეობასთან ერთად, ქართველი ერის მუსიკალური დედაენაა.

ზ. ფალიაშვილი ინტერნაციონალისტი იყო. დაუვიწყარი მისი მეგობრობა სპენდიაროვთან, პაჯიბეკოვთან, ტიგრანიანთან.. ჩვენ, საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი კომპოზიტორთა ოჯახის წევრები, ახლაც ვიღებთ მაგალითს ამ ადამიანებისაგან. მათი ინტერნაციონალური ინტერესები, მათი მემკვიდრეობა, რომელმაც კიდევ უფრო დაიაბლოვა ამიერკავკასიის ძმური ერები, სამაგალითოა. ძნელია ახლა სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმოდგენა ამ სახელების გარეშე. მათმა შემოქმედებამ კიდევ უფრო უკეთ გაგვაცნო და შეგვაყვარა ერთმანეთი.

ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი მუსიკა, ხალხის საყვარელით გაცისკროვნებული, ხალხსავე უნათებს გზას.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილეს ვ. კუხარსკის. დღეს, თქვა მან, ქართველი ხალხი პატივისცემით იხსენებს თავის ეროვნულ კომპოზიტორს. საიუბილეო ზეიმი საყოველთაო სახალხო ზეიმად გადაიქცა. ამ დღეებში ზაქარია ფალიაშვილის სახელი, მისი მუსიკა გაისმის საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში. რამდენიმე დღის შემდეგ საიუბილეო ზეიმი გაიმართება მოსკოვში, და ჩვენ კვლავ მოვისმენთ კომპოზიტორის ისეთ დიდებულ ბრძნულ ნაწარმოებებს, როგორიც არის „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“, თაყვანს ვცემთ ადამიანს, რომელმაც თავისი შემოქმედებით ახალი ფურცელი ჩაწერა შესანიშნავი ქართული კულტურის, მთელი მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში.

ფალიაშვილი მით უფრო დიდია, მით უფრო ღრმა და ბრწყინვალეა, რომ მან, როგორც ნამდვილად სახალხო ხელოვანმა, თავის ქმნილებებში პირველად ჩააქსოვა მშობელი ხალხის თვისებები. ამან განსაზღვრა სწორედ მისი მუსიკის ხალხური ხასიათი.

ფალიაშვილის მარად ნორჩი, მარად ახალი, ღრმა მუსიკა, ისევე როგორც ქართული ხალხური მუსიკა, ყველას გვხიბლავს. დღეს ჩვენ ბატივს ვცემთ დემოკრატი კომპოზიტორის, ინტერნაციონალისტის ხსოვნას, რომლის შემოქმედებაში ჩაქსოვილია სიკეთის ბის დამუშავება XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში. კუმანისტებისა და ერუდიტების ისტორიოგრაფიული მოღვაწეობის დახასიათების შემდეგ გადმოცემულია ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის განვითარების ცალკეული ფაქტები საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამომწურავად გაშუქებულია ცნობილი ისტორიკოსების საქმიანობა, მათი შრომები, კვლევის პრინციპები, სახელმძღვანელო იდეები.

მეტად საყურადღებოა ახალი ისტორიის კონკრეტულ-ისტორიული პრობლემების განხილვა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შემოქმედებაში. ავტორი წერს: „მარქსმა და ენგელსმა ისტორია ჟეშმარიტი მეცნიერების სიმაღლეზე აიყვანეს, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ შეძლეს აღმოეჩინათ კაცობრიობის ისტორიული განვითარების ძირითადი კანონზომიერება, ისტორიის ძირითადი კანონი“ (გვ. 196).

იმპერიალიზმის ეპოქამ ახალი და მეტად რთული ამოცანები დაუსახა ისტორიულ მეცნიერებას. იზრდება და მწვავდება კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი, სულ ახალ და ახალ აღმავლობას განიცდის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა. ამით შეშფოთებული ბურჟუაზიული მეცნიერები სასტიკ ბრძოლას იწყებენ მარქსიზმის წინააღმდეგ, ჩნდება სხვადასხვა ანტიმეცნიერული ისტორიული კონცეპციები, რომლებიც უპირისპირდებიან ისტორიულ მატერიალიზმს. საჭირო გახდა ისტორიის მარქსისტული თეორიის დაცვა და განვითარება. ეს მისია იკისრა ვ. ი. ლენინმა. მან გამოაკვლია ბურჟუაზიული ისტორიული აზრის კრიზისი, მეცნიერულად დასაბუთა ამ კრიზისის მიზეზები, მარქსისტულად გაარკვია მსოფლიო ისტორიის პრობლემები. ლენინმა არა მარტო დაიცვა და განავითარა ისტორიის მარქსისტული თეორია, არამედ გაამდიდრა, ახალ სიმაღლეზე აიყვანა ახალი ისტორიის კონკრეტულ-ისტორიული კვლევა-ძიება.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის მოძღვრებას იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის შესახებ. ავტორი წერს: „ლენინი არის ფუძემდებელი მსოფლიო ისტორიის იმპერიალისტური პერიოდის მარქსისტული კონცეპციისა. იმპერიალიზმის ლენინური ანალიზის შედეგად შეიქმნა მძლავრი მეთოდოლოგიური საფუძველი უახლესი დროის ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური, იდეოლოგიური, კულტურული, სამხედრო და დიპლომატიური ისტორიის შესაქმნელად“ (გვ. 211). ამ ბანაკის ისტორიკოსთა საქმიანობის ლეგიტიმურია ისტორია აქციონ „მოსკოვის საწინააღმდეგო კონტრპროპაგანდის იარაღად.“ ავტორი განიხილავს რეაქციონერი ისტორიკოსების, ანტიკომუნიზმის მიბაძარსტრვების „ისტორიულ კონცეპციებს“. იგი დამაჯერებლად აკრიტიკებს მათს დებულებებს კაპიტალიზმის მარადიულობის, სოციალისტური რევოლუციის უარყოფისა და კაპიტალიზმის მშვიდობიანი გარდაქმნის შესახებ. ანტიკომუნიზმის იდეოლოგები საერთოდ უარყოფენ რევოლუციებს, როგორც ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის მეორეზე გადასვლის კანონზომიერებას.

ნაშრომში ნათლად არის გაშუქებული ახალი ისტორიის შესწავლის მდგომარეობა რევოლუციამდელ რუსეთში.

ავტორი ვრცლად მოგვითხრობს საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევებზე ახალი ისტორიის კვლევის დარგში და აღნიშნავს, რომ ამ უდიდესი წარმატების მიზეზია საბჭოთა ისტორიკოსების მუშაობაში ისტორიის კვლევის მარქსისტულ-ლენინური მეთოდის დანერგვა, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ახალი ისტორიის შესწავლაში ახალი ეტაპი დაიწყო.

პროფესორ გ. კიღურაძის ნაშრომის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ იგი დაწვრილებით გადმოსცემს ახალი ისტორიის პრობლემების შესწავლას საქართველოში XVIII საუკუნიდან დაწყებული დღევანდლამდე. ი. ჭავჭავაძის ისტორიული აზროვნების ყოველმხრივი ანალიზის შედეგად ავტორი დასკვნის, „რომ ი. ჭავჭავაძის ისტორიული მსოფლმხედველობა ევროპის მოწინავე, პროგრესული აზრის დონეზე იდგა, რაც ქართული საზოგადოებრივი აზრის მაღალ განვითარებაზე მეტყველებს“ (გვ. 361). თუ ადრე ქართული მოწინავე აზრის წარმომადგენლები ეხიბოდნენ ახალი ისტორიის მნიშვნელოვან ცალკე მოვლენებს, ახალი ისტორიის მეცნიერული შესწავლა ქართული უნივერსიტეტის ჩამოყალიბების შემდეგ დაიწყო.

ნაშრომში დახასიათებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთოდ მსოფლიო ისტორიისა და კერძოდ ახალი ისტორიის დარგში მომუშავე ისტორიკოსთა (განსვენებული ს ბალიანის, გ. ნათაძის, ალ. ნამორაძის, ალ. წერეთლის) მოღვაწეობა.

ავტორი ფართოდ და მეტად საინტერესოდ გადმოგვცემს ახალი ისტორიის პერიოდიზაციის საკითხებს. იგი ჯერ ვრცლად მიმოიხილავს მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის ისტორიას ანტიკური ხანიდან დღევანდლამდე და შემდეგ წარმოადგენს ახალი ისტორიის პერიოდებს. აშუქებს პერიოდიზაციის მნიშვნელობას და იძლევა ცალკეული პერიოდების დახასიათებას.

ისტორიული მეცნიერების შესწავლას უდიდესი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს; საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერება ნათელი ხდება კონკრეტული ისტორიული ფაქტების შესწავლის საფუძველზე. ისტორიული პროცესის კანონზომიერების იდეა აწმყოსა და მომავლის ბრძოლის საშუალებას გვაძლევს. „გავიგოთ ის, თუ საიდან მოვედით და სადკენ წავალთ. უპირველეს ყოვლისა, ყოველივე ეს დანაპირობებს ისტორიას, როგორც მეცნიერების შემეცნებით ღირებულებასა და მნიშვნელობას“.

ნაშრომის დასკვნითს მერვე თავში განხილულია ახალი ისტორიის შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობის ზოგიერთი საკითხი. ეს თავი ფრიად საყურადღებოა. აქ ნაჩვენებია ახალი ისტორიის ცოდნის უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. გაშუქებულია ისტორიის ძირითადი კანონზომიერებანი, რომლებიც უფრო სრულყოფილად და ბაფიოდ ვლინდებიან ახალ ისტორიაში. მათ ცოდნასა და გაგაზრებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ადამიანების იდეურ აღზრდაში.

პროფესორ გ. კიღურაძის გამოკვლევა „ახალი ისტორია“, ავტორის სანგრძლივი შრომის ნაყოფია. იგი დიდძალი დოკუმენტური მასალისა და სპეციალური ლიტერატურის შესწავლაზეა დამყარებული. ამ წიგნის სახით ქართულ ისტორიულ მეცნიერებას შეემატა ახალი საყურადღებო გამოკვლევა, რომელიც დაწერილია საბჭოთა მარქსისტული ისტორიული მეცნიერების უკანასკნელ მონაპოვართა ჭათვალისწინებით. ნაშრომი კარგი შენაძენია ახალი ისტორიის მეთოდოლოგიური და ისტორიოგრაფიული კვლევის საქმეში.

ს. ჩხარტიშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,

მ. მამფორია,
რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, დოცენტი.

ი. ჩიქავა,
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

·ლაპარაკობენ ჩვენი სტუმრები

ახალ შარავანდედს შეიძენს

ზაქარია ფალიაშვილმა უაღრესად მნიშვნელოვანი მემკვიდრობა დატოვა, რომელსაც დიდი ესთეტიკური ღირებულება აქვს. მისი უკვდავი ნაწარმოებები „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, აგრეთვე „ლაკადარ“ განასაზღვრავენ ქართველი ხალხის გმირულ სულს, მის ვაჟკაცურ შემართებას და პოეტურ ბუნებას, ღაღადებენ ეროვნული მელოდიის კეთილშობილებასა და მრავალმხრივობაზე.

დღეს, ამ საზეიმო წუთებში განსაკუთრებით ვიგრძენით დიდი კომპოზიტორის შემოქმედების სიდიადე. კეთილი მარცვალი, რომელიც მან დათესა, ბარაქიან მოსავლად გადაიქცა. დღეს მთელ მსოფლიოში იცნობენ ქართველ საბჭოთა კომპოზიტორებს, მუსიკოს-შემსრულებლებს, ბრწყინვალე მომღერლებს...

ზაქარია ფალიაშვილის სახელი, რაც დრო გავა, მით უფრო გაბრწყინდება და ახალ შარავანდედს შეიძენს.

მოხარული ვარ, რომ ამ საზეიმო დღეებში საქართველოში ვიმყოფები — ჩემს ძვირფას კოლეგებსა და მეგობრებს შორის.

ვ. კაუკუჟი,
ლატვიის სსრ კულტურის მინისტრი.

აუღელვებლად ძნელია ლაპარაკი

საბჭოთა ხალხთან მეგობრობამ, სულ უფრო მზარდმა კონტაქტებმა საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის მრავალი უცნობი ფურცელი გაგვაცნო. როცა თბილისში ზაქარია ფალიაშვილის დაბადების მეასე წლისთავთან დაკავშირებულ ზეიმზე მოწვევა მივიღე, ნასიამოვნები დავრჩი, მაგრამ იმან, რაც ამ მცირე დროის მანძილზე თბილისში ვნახე, მოვისმინე და გავიცანი, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დავესწარით „აბესალომ და ეთერს“. დიდებული, ბრწყინვალე მუსიკაა, ეს ისეთი ოპერაა, რომელზეც აუღელვებლად ძნელია ლაპარაკი, საერთოდ შეუძლებელია ამგვარი მონუმენტური ნაწარმოებების სახელდახელოდ გარჩევა. ვიტყვი, რომ აღფრთოვანებული ვარ. გავიცანი მუსიკის ბრწყინვალე წარმომადგენელი და უზომოდ მოვიხიბლე...

შამ ფუკ მინი,
ვიეტნამელი კომპოზიტორი.

„აბესალომ და ეთერმა“ გამაცნო

ინდოელი მუსიკისმცოდნენი და კომპოზიტორები ნაკლებად ვიცნობთ ქართულ მუსიკას, მაგრამ ხალხურ თქმულებებში, ლეგენდებში საქართველოს სილამაზეზე ბევრია ნათქვამი. არც მე ვიცნობდი საქართველოს, და მოწვეულისათვის მასპინძლებს მადლობა მინდა მოვახსენო. ოპერა „აბესალომ და ეთერმა“ გამაცნო ქართული პროფესიული მუსიკა. ახლა მივხვდი, თუ რატომ ზეიმობს ასეთი სიხარულით ხალხი თავისი შვილის იუბილეს. ინდოეთში რომ დავბრუნდები, აუცილებლად ვეცდები ავუწერო კოლეგებს საქართველოსა და ფალიაშვილის მუსიკის სილამაზე.

ჩაიტანია დევა,
ინდოელი მუსიკისმცოდნე.

ქოეპოზიტორის საცხრ-ეუზეუეეი

თბილისის წყნარი ქუჩა... შრიალებენ აკაციები... ღია ფანჯრებიდან მუსიკის ჰანგები იღვრება. ძალაუნებურად შეჩერდება გამვლელი, ყურს მიუგდებს ნაცნობ მელოდიას თითქოს ხვებმაც შრიალი შეწყვიტესო.

და აი ასე წლიდან წლამდე, დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმს დაარსების დღიდან. აქ შეიძლება თითქმის ყველაფერი შეიტყოთ კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

დიდი ხელოვანის გაცნობა იწყება სადარბაზოდან, რომლის კარს ამშვენებს ოქრომკედელ დ. ყიფშიძის შესანიშნავი ნამუშევარი. ეს არის ეთერი ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“, დიდი კომპოზიტორის საყვარელი გმირი.

ადიხართ კიბეზე, რომლითაც 1915 წლის 16 აგვისტოს პირველად ავიდა ზ. ფალიაშვილი. 1933 წლის 10 ოქტომბერს ამავე სახლიდან მადლიერმა ქართველმა ხალხმა უკანასკნელად გაიცილა კომპოზიტორი. მაგრამ სახლში ცოცხლობს მისი მუსიკა.

სწორედ ამ მუსიკით შეხვდა სახლ-მუზეუმი სასურველ სტუმრებს 14 ოქტომბერს.

სტუმრებს იკებებიან კომპოზიტორის ძმა ლევანი, მისი ძმის შვილები ვახტანგი, ნათელა, ლუსია.

ქართველი მუსიკის კლასიკოსის ხსოვნის პატივსაცემად სახლ-მუზეუმში მოვიდნენ დელეგაციები სლოვაკეთ კომპოზიტორებისა — ო. ფერენცის მეთაურობით, ჩეხი კომპოზიტორებისა — ი. პალენჩიკის მეთაურობით, ლატვიის კულტურის მინისტრი ვ. კუკუჟუნი, საიუბილეო ზეიმის მონაწილენი — მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპოზიტორები.

სახლ-მუზეუმის მრავალრიცხოვანი დამთვალიერებლებისათვის გაიმართა კონცერტი. შესრულდა ზ. ფალიაშვილის ნაწარმოებები და მის მიერ დამუშავებული ხალხური სიმღერები. კონცერტში მონაწილეობდნენ ხალხური საკრავების ანსამბლი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კ. ვაშაკიძის ხელმძღვანელობით, თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის ნორჩ ვოკალისტთა ჯგუფი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ა. ჯანელიძის ხელმძღვანელობით, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები კ. მელაძე, გ. წულუკიძე და კონცერტმაისტერი ვ. ჭურთოშვილი.

დამთვალიერებლები მხურვალედ მიესალმნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტებს კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილსა და დირიჟორ ვ. ფალიაშვილს, რომლებმაც დიდი კომპოზიტორის ფისტარმონიაზე სტუმრებისათვის შესრულეს ნაწყვეტი მისი მესამედან.

სახლ-მუზეუმის ექსპონატები სტუმრებს გააცნეს მისმა დირექტორმა კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა ვ. ჩინჩალაძემ და ვ. ფალიაშვილმა.

დღეს ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმს ეწვია ასობით თბილისელი და რესპუბლიკის დედაქალაქის სტუმარი (საქდესი).

• • •

სურათზე: ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმის მონაწილეთა ერთი ჯგუფი კომპოზიტორის სახლ-მუზეუმში.

ფოტო პ. კაკაბაძისა.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საყურადღებო ნაშრომი

ჯაპიტალიზმის გენეზისის, მისი განვითარების, კაპიტალისტური წყობილების სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მოვლენების, კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა კანონზომიერების იდეონი ჩვენი ახალგაზრდობისა და, საერთოდ, საბჭოთა ადამიანის იდეოლოგიური აღზრდის უმნიშვნელოვანესი იარაღია. ამიტომ სასიამოვნო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს პროფესორ ბ. ბიღურაძის ფრიად საყურადღებო ნაშრომი „ახალი ისტორია“.

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს უმაღლესი სკოლის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის განკუთვნილი, სამ ნაწილად განზრახული ახალი ისტორიის კურსის პირველ წიგნს. მასში ყოველმხრივ და ღრმად არის განხილული ახალი ისტორიის (1 პერიოდის) მეთოდოლოგიისა და ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

წიგნი პირველი შრომაა ქართულ ისტორიოგრაფიაში მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პერიოდის შესახებ, პირველი ცდაა ახალი დროის ისტორიოგრაფიის მარქსისტულ-ლენინური გაგების საფუძვლების გადმოცემისა. იგი მოიცავს ახალი ისტორიის შესწავლის მეტად აქტუალურ საკითხებს. ნაშრომში ფართოდ არის გაშუქებული ახალი ისტორიის კურსის საგანი, ამოცანები და მნიშვნელობა, აგრეთვე ისტორიული მეცნიერების თეორიული იდეები და მეთოდოლოგიური პრინციპები, ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერების ჩამოყალიბება.

წიგნის პირველ თავში ავტორი აშუქებს საერთოდ წყაროებისა და წყაროთმცოდნეობის მნიშვნელობას ისტორიულ მეცნიერებაში, განიხილავს მის დარგებს, წყაროთმცოდნეობის გენეზისურ ბას XVI საუკუნიდან და არკვევს ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის ზოგიერთ თავისებურებას. მომდევნო თავი ეძღვნება ისტორიული მეცნიერების ბურჟუაზიული თეორიების ვრცელ მიმოხილვას, მათს ყოველმხრივ ანალიზს, ანტიისტორიულ შეხედულებათა დამაჯერებელ კრიტიკას. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ანტიმარქსისტულ მიმართულებას. განსაკუთრებით საყურადღებოა „რესტავრაციის პერიოდის ისტორიკოსების“ დახასიათება.

წიგნის მესამე თავში ფართოდ არის განხილული ახალი ისტორიის კონკრეტულ-ისტორიული პრობლემები. ავტორი ეხება ისტორიული ფაქტების ფენომენალურ ბუნებას, ისტორიული ფაქტების ადგილს ისტორიულ ანალიზში, ისტორიული ფაქტების ურთიერთკავშირს, ისტორიული ფაქტების ტიპოლოგიას, ისტორიული ფაქტების ინტერპრეტაციის ბურჟუაზიულ ფალსიფიკაციებს

წეჟაართველოს რაიონებში

ასპინძა

ზვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

შ. მაისურაძე

□

ვარძიაში

ბევრი მნახველი მყავს ძველი ქართული კულტურის სიმაღეს, კლდეში ნაკვეთ ციხე-ქალაქ ვარძიას. აქ რამდენიმე საკავშირო ტურისტული მარშრუტი გადის. ვარძიის ძეგლ-ნაკრძალის (მუზეუმის) სანახავად ყოველწლიურად ათასობით ტურისტი და ექსკურსანტი ჩამოდის ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. მათი უმეტესი მომსახურებასთვის ამჟამად ვარძიაში შენდება ახალი 280-ადგილიანი სასტუმრო. აქვე მოეწყობა სხვადასხვა სახის სპორტული მოედნები და კულტურისა და დასვენების პარკი.

ვარძიის ძეგლ-ნაკრძალის დასაცავად მიმდინარეობს ხაოსნურვაცეო სამუშაოები. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და კულტურის სამინისტროს ექსპედიცია აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრას და ვარძიის დასავლეთი ნაწილის გაწმენდას.

სამკურნალო მინერალური წყალი

ამ რამდენიმე წლის წინათ ვარძიის მახლობლად აღმოჩენილ იქნა სამკურნალო მინერალური წყალი, რომელსაც ადგილმდებარეობის მიხედვით „ვარძია“ ეწოდა. მას მუტად კარგი სამკურნალო თვისებები აღმოაჩნდა. კარგ შედეგებს იძლევა კუჭის ქრონიკული დაავადების. ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების ქრონიკული ანადგმყოფობისა და ზარვიერთ სხვა დაავადების სამკურნალოდ.

ამჟამად მიმდინარეობს სამკურნალო მინერალური წყლის „ვარძიის“ ჩამოსასხმელი ქარხნის მშენებლობა. იგი მიმდინარე წლის ბოლოსათვის გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

ახალი სასოფლო გზა

რაიონში დიდი მუშაობა წარმოებს მაღალი მთის სოფლების მისასვლელი გზების კეთილმოსაწყობად. რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო უბანმა ამ დღეებში დაამთავრა სოფელ თოკის მისასვლელი გზის მშენებლობა. 70 გრადუსით დახრილ კლდოვან ფერდობზე გაყვანილი იქნა 26 კილომეტრი სამანქანო გზა, რომელმაც სოფელი მოკლე მანძილით დაუკავშირა ცენტრალურ ავტომობილურ გზასთან.

ერეკლეს სახელობისა

წყალდიდობის მიერ დაზიანებული დაგიდული ხიდების ნაცვლად მდინარე მტკვარზე დაიწყო რკინაბეტონის ახალი კაპიტალური ხიდის მშენებლობა. იგი რაიონის ცენტრთან — დაბა ასპინძასთან უმოკლესი გზით დაუკავშირებს სოფლებს საყუდაველს, ორგორას, ძველს, ჭობარეთს და სხვ.

ამ ადგილას, სადაც ახალი ხიდი შენდება, 1770 წელს (ასპინძის ომში) ერეკლე მეფემ ქართველთა მცირერიცხოვანი ლაშქრით სასტიკად დამარცხა თურქოსმალო დამპყრობლები. სახელოვანი გმირის პატივსაცემად ახალ ხიდს ერეკლეს სახელი დაერქმევა.



სურათზე: ვარძიაში.



გამოჩენილი მეცნიერი

აკადემიკოს პეტრე ქომეთიანის დაბადების 70 წლისთავის გამო

ღვაწლმოსილ მეცნიერს, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან ბიოქიმიკოსს პეტრე ანტონის-ძე ქომეთიანს 70 წელი შეუსრულდა. მათთვის, ვინც იცნობს მის მოღვაწეობას, ეს დღე ქართული ბიოქიმიური მეცნიერების დღესასწაულია. პ. ქომეთიანმა განვლო მეცნიერული ზრდის ყველა საფეხური. მან 1919 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე. 1922 წელს ჯერ კიდევ სტუდენტმა დაიწყო მუშაობა ლაბორანტად და შემდეგ როგორც ასისტენტ-ქიმიკოსმა — ცხოველთა კვების კათედრაზე. 1930 წელს სრულიად ახალგაზრდა მკვლევარი სათავეში ჩაუდგა ლაბორატორიას, სადაც კმლევითი მუშაობა წარიმართა რძისა და რძის პროდუქტების ბიოქიმიისა და საკვების გამდიდრების დარგში. ერთდროულად ის მიწვეული იყო დოცენტად ბიოქიმიის კურსის წასაკითხად ზოოტექნიკურ-საველერინარო ინსტიტუტში.

1933 წელს პ. ქომეთიანს წინადადება მიეცა ეხელმძღვანელნა ბიოქიმიის განყოფილებისათვის უნივერსიტეტთან ახლად დაარსებულ ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. მას ერთდროულად დაეკვალა ბიოქიმიის კურსის წაკითხვა ბიოლოგიის ფაკულტეტზეც. ამ ხნიდან მოყოლებული დღემდე ჩვენ ერთად ვმუშაობთ უნივერსიტეტსა და აკადემიაში. ის ყველა წამოწყების იქთიური მონაწილეა, გამოირჩევა კვლევითი მუშაობის არაჩვეულებრივი უნარით. მისი შრომები მუდამ მეცნიერების მიღწევათა უმაღლეს დონეზეა.

1934 წელს პ. ქომეთიანს მიენიჭა პროფესორის წოდება, ხოლო 1938 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1944 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1955 წელს — ნამდვილ წევრად. 1961 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სატიტო წოდება.

პ. ქომეთიანისათვის დამახასიათებელია კვლევითი მუშაობის გამიზნული მიმართულება. ეს მიმართულება დაკავშირებულია იმ ბიოქიმიური გარდაქმნების შესწავლასთან, რომელებიც საფუძველად უდგანს კუნთისა და ნერვული ქსოვილების მოქმედებას. ამ დარგში შესრულებული შრომების პირველი სერია ეხებოდა ნერვულ დაბოლოებათა გაღლნას კუნთში მიმდინარე ბიოქიმიური გარდაქმნების დინამიკაზე. მიღებული შედეგებიდან აღსანიშნავია იმ ფაქტის აღმოჩენა, რომ კუნთის იმ ნაწილში, სადაც ნერვი ბოლოვდება, ნივთიერებათა ცვლა მეტი ინტენსივობით მიმდინარეობს. აღმოჩენილი იყო ბიოდენის პოტენციალის სიდიდის დამოკიდებულება ცვლის პროცესების ინტენსივობაზე. ეს ფაქტი საფუძვლად დაედო მომდევნო გამოკვლევებს, სადაც შეისწავლებოდა ბიოდენის წარმოშობის წყაროები. პ. ქომეთიანმა შეძლო ექსპერიმენტულად დაემტკიცებინა ბიოდენის უშუალო კავშირი ენერგია-აღდგენის პროცესებთან. მხოლოდ 1966-1968 წლებში გახდა შესაძლებელი ამ დამოკიდებულების ბიოქიმიურ მექანიზმის გარკვევა იმავე ლაბორატორიაში, რომელსაც პ. ქომეთიანი ხელმძღვანელობს.

ამ დებულებაზე დაყრდნობით, რომ აცეტილქოლინის სახით ნერვული იმპულსების მოქმედებაში ეფექტორზე წამყვანი როლი ენიჭება ქიმიურ მედიატორს, პ. ქომეთიანმა და მისმა თანამშრომლებმა 1941-1948 წლების განმავლობაში შეისწავლეს ამ ნაერთის მოქმედების ხასიათი კუნთის ქსოვილზე და აგრეთვე მისი ბიოსინთეზისა და დაშლის გზები. მათ მიერ შესრულებულ კვლევა-ძიებით გაირკვა იმ ცვლილებების რაობა, რომელსაც აცეტილქოლინი იწვევს იქ, სადაც სრულდება კუნთის ფუნქცია. ამავე დროს აღმოჩენილი იყო აცეტილქოლინის სინთეზის ახალი გზა — ფოსფორინქოლინიდან. სულ უკანასკნელ ხანს პ. ქომეთიანის თანამშრომლებმა შეძლეს ეჩვენებინათ, რომ სინთეზის ახალი გზა დაკავშირებულია ბოლო დრომდე უცნობი ნაერთის — აცეტილფოსფორილქოლინის წარმოშობასთან. ამ გამოკვლევებს ის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ ირკვევა ნერვულ ქსოვილში ფოსფორილქოლინის გამოყენების შესაძლებლობა ორი სხვადასხვა დანიშნულების მქონე ნაერთში: აცეტილქოლინისა და ფოსფოლიპიდების სინთეზში.

1951 წელს პ. ქომეთიანის ხელმძღვანელობით მუშაობა დაიწყო ნერვულ ქსოვილში თავისუფალ ამინმჟავათა გარდაქმნების შესასწავლად. ამ ნაერთებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მათი გამოყენება ხდება მთელი რიგი სხვა ნაერთების სინთეზისათვის. გარდა ამისა, ისინი უშუალო მონაწილეობას იღებენ ნერვული ჯირკვლების ძირითად პროცესებში და, რაც მთავარია, მათი გარდაქმნის აღრეა იწვევს ნერვულ და ფსიქიურ დაავადებებს. ამ დარგში მიღებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ინოზინის მჟავის კოფერმენტული მოქმედების უნარის აღმოჩენა. გაირკვა, რომ ინოზინის მჟავა მონაწილეობას იღებს ამინმჟავებიდან თავისუფალი ამონიაკის რეაქციაში. ამავე დროს მითითებული იყო, რომ ამინმჟავათა ინტენსიური ცვლა თავის ტვინში უშუალო კავშირშია მანამდე უცნობი ნაერთის — ფოსფოპეპტიდების გარდაქმნებთან. ეს ფაქტი ყურადღებას იპყრობს იმიტომ, რომ ამონიაკი ითვლება ნერვული ქსოვილის ფუნქციურ მაჩვენებლად.

1966 წელს ფიზიოლოგიის ინსტიტუტს დაეკალა ახალი პრობლემის შესწავლა. ეს პრობლემა ეხება მეხსიერების მექანიზმების გარკვევას. უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრა და ინსტიტუტის ბიოქიმიის განყოფილება ქომეთიანის ხელმძღვანელობით შეუდგნენ ამ პრობლემის ბიოქიმიური ნაწილის დამუშავებას. მეხსიერების ბიოქიმიური ნაწილის საფუძვლების შესწავლისას პ. ქომეთიანი იმ დებულებიდან გამოვიდა, რომ თავის ტვინში ინფორმაციის მიღება, შენახვა და გახსენება უშუალოდ არ არის დამოკიდებული გენეტიკურ მექანიზმთან, რომ გენეტიკური მექანიზმი თავის ტვინის მეხსიერების მოვლენებში ასრულებს არა წამყვან, არამედ დამხმარე როლს. ის ამტკიცებს — მეხსიერების რაციონალური თეორია დამუშავდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაირკვევა ნეირონების ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებანი. მეხსიერება თავის ტვინში უნდა იწერებოდეს არა მოლეკულებში, არამედ ნეირონების ანსამბლების დონეზე. მიღებული შედეგებიდან აღსანიშნავია იმ ცილების აღმოჩენა, რომელთა გარდაქმნა დაკავშირებულია მეხსიერების მოვლენებთან. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე იმ ფერმენტების მოქმედების შესწავლის შედეგები, რომელთა საშუალებით თავის ტვინში ხორციელდება ამინებისა და ელექტროლიტების განაწილების რეგულაცია. ამ ნაერთებს წამყვანი როლი ენიჭებათ ნერვული ჯირკვლის ძირითად პროცესებში — აღგზნებასა და შეკავებაში. მეხსიერების ბიოქიმიური საფუძვლების შესწავლა ჯერ კიდევ შორს არის დამთავრებისაგან. ამ პრობლემის გადაჭრა ალემატება ერთი ლაბორატორიის ძალას. მაგრამ ის, რაც პ. ქომეთიანის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გაკეთდა, იმის საწინდარია, რომ ამ პრობლემის შესწავლაში მისი დიდი წვლილიც იქნება.

პ. ქომეთიანი ჯერ კიდევ სავსეა ენერგიით. მან შექმნა პირველხარისხოვანი ლაბორატორია, სადაც მუშაობენ მისი ნიჭიერი მოწაფეები და ყველა პირობა არსებობს შემდგომი წინსვლისათვის.

აკადემიკოსი
ივ. ბერიტაშვილი,
სოციალისტური შრომის გმირი;
პროფესორი
ალ. ბაკურაძე,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ა. საბაშვილი

გარდაიცვალა საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ დირექტორი, სკკპ წევრი 1948 წლიდან, საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი ალექსანდრე (ბიჭიკო) ნიკოლოზის-ძე საბაშვილი.

უფროდ გამოაკლდა ქართველ ხუროთმოძღვართა რიგებს უნარიანი ორგანიზატორი, ნიჭიერი სპეციალისტი და შესანიშნავი მოქალაქე.

ალექსანდრე საბაშვილი დაიბადა 1917 წელს ქ. ბათუმში. 1935 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, ხოლო 1941 წელს საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი.

1941-1945 წლებში ა. საბაშვილი საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც იგი ჯერ ავიარაგოლის შტურმანი, შემდეგ კი ესკადრილიის ავიადაზვერვის შტაბის უფროსი. მისი მონაწილეობა სამამულო ომში აღნიშნულია მთავრობის ჯილდოებით.

საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1946 წელს მუშაობას იწყებს ქ. მოსკოვში, სსრ კავშირის ავიამშენებლობის სამინისტროს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „გიპროავიასტროიში“ არქიტექტორად. 1947 წელს იგი გადმოდის თბილისში და მუშაობს „საქკომუნპროექტში“ არქიტექტორის თანამდებობაზე.

1954 წლიდან გარდაცვალებამდე ა. საბაშვილი ხელმძღვანელობდა „საქკომუნპროექტის“ ბაზაზე ჩამოყალიბებულ რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს საპროექტო ინსტიტუტს „საქქალაქმშენსახპროექტს“. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში აღნიშნულ ინსტიტუტში დამუშავებულია რესპუბლიკის ქალაქებისა და დაბების, რაიონული ცენტრებისა და კურორტების დაგეგმარებისა და განაშენიანების გენერალური გეგმები, საბინაო და სამოქალაქო მშენებლობისა და საინჟინრო ნაგებობათა მნიშვნელოვანი ობიექტების მრავალრიცხოვანი პროექტები.

ა. საბაშვილის უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით დამუშავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კომპლექსისა და ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ საწარმოო კორპუსის პროექტები. იგი რესპუბლიკის ქალაქებში და დაბებში აგებულ საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობების, კულტურის სახლებისა და კლუბების, პიონერბანაკებისა და სპორტული ბაზების კადრების აღზრდისა და დაგეგმვების კერად გადაიქცა. ინსტიტუტში, მისი ინიციატივით შექმნილი სამეცნიერო-საკვლევი განყოფილების საფუძველზე ჩამოყალიბდა უფსპერმენტული დაპროექტების თბილისის ზონალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

ა. საბაშვილი მრავალი წლის მანძილზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში. იგი მრავალჯერ იყო არჩეული საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის წევრად, საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრობის კანდიდატად, თბილისის საქალაქო და ორჯონიკიძის რაიონული საბჭოების დეპუტატად.

ა. საბაშვილი იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტისა და თბილისის არქიტექტურული დაგეგმარების მთავარი სამმართველოს არქიტექტურულ-სამშენებლო საბჭოების წევრი. საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული მშენებლობის ხელისშემწყობი საბჭოს ქალაქმშენებლობის სექციისა და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მშენებლობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.

ა. საბაშვილს ნაყოფიერი შრომისათვის მიღებული ქქონდა მთავრობის მაღალი ჯილდოები. ალექსანდრე საბაშვილის სახით ჩვენმა საზოგადოებამ დაკარგა დირსეული მოქალაქე, ქართველმა ხუროთმოძღვრებმა — ნიჭიერი თანამოდვაწე, „საქქალაქმშენსახპროექტის“ თანამშრომლებმა — გულისხმიერი და მზრუნველი ხელმძღვანელი, მისმა მეგობრებმა კი კეთილი გულის, სპეტაკი ადამიანი.

ხსოვნა ალექსანდრე საბაშვილისა სამუდამოდ დარჩება მათ გულში, ვისთანაც მას გაუტარებია თავისი შინაარსიანი, შემოქმედებითი გზნებით გამთბარი ხანმოკლე სიცოცხლე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს არქიტექტორთა კავშირი; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტისა და თბილისის არქიტექტურული დაგეგმარების მთავარი სამმართველოს არქიტექტურულ-სამშენებლო საბჭოების წევრი; საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული მშენებლობის ხელისშემწყობი საბჭოს ქალაქმშენებლობის სექციისა და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მშენებლობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის თანამშრომლები.

ქ. ნ. საბაშვილის დაკრძალვის მოსამზადებელი კომისიისაგან

ა. ნ. საბაშვილის დაკრძალვის მომზადებელი კომისია იუწყება, რომ სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 15 და 16 ოქტომბერს 20 საათზე განსვენებულის ბინაში — ბარნოვის ქუჩა, 164. გამოსვლა 17 ოქტომბერს 16 საათზე ტრანზიტის სახლიდან (ჩავჩავაძის პროსპექტი, 35).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „საქქალაქმშენსახპროექტი“ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „საქქალაქმშენსახპროექტის“ დირექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, სახმშენის არქიტექტურული სამშენებლო საბჭოს წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი

ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე საბაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დისერტაციების დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი

(ვეფხვიაძე, III კორპუსი, საკაბელო დარბაზი, ვაჟა-ფშაველას პრ., 27)

1 ნოემბერს, დღის 3 საათზე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ომარ სერგოს-ძე ბაბარაძე** დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„ზოგიერთი ნეიროფიზიოლოგიური ძვრები „სხივქვეშ“ მხედველობის ანალიზატორის სხვადასხვა დონეზე“.**

1 ნოემბერს, დღის 5 საათზე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ომარ ივანეს-ძე სანეიბლიძე** დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„ჩონჩხის კუნთზე მაიონიზებელი რადიაციის გავლენის ფიზიოლოგიური მექანიზმი“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (საქართველოს სამხედრო გზა, 62).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

15 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (ჯადოქარი მოსკოვიდან) 11.15 — დოკუმენტური ფილმი „ალითა ულანოვა“. 12.20 — საკავშირო დადგმა — „ანკეტოზის ჭიჭა“ (II ნაწილი). 13.30 — მათთვის, ვინც ახლა ისვენებს“. 18.05 — ახალი ამბები. 18.10 — „ბინადრები. 18.15 — ბავშვებისათვის „უფროსების მხარდამხარ“. 18.35 — ჟინონარაკვეა. 18.55 — სპორტული ჯადაცემა — „სამსახურებრივი ძაღლების ჯამოფინა“. 19.05 — ჯადაცემა „არავითარ მეფინანსიებთან“. 19.20 — „კანონიერების სადარაჯოზე“. 19.45 — ლიტერატურული ჯადაცემა „ხმა ჯულისა“. 20.00 — კონცერტი ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატებს მონაწილეობით. 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 21.20 — „ჩვენი ჟინოპალიტდარი „ორმოცდამეერთეთ“. 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (ჯადმოცემა მოსკოვიდან). 22.30 — საქართველოს ფიზიკურ ტალღოვანი სვეტობათა რამდენიმე ათეული ადგილის ვგვეფრია. [illegible] ინსტიტუტი [illegible] ინსტიტუტი [illegible] ინსტიტუტი